საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1310 2020 წლის 23 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით წინასწარი თანხმობის გაცემის თაობაზე

„სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის №650 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიეცეს წინასწარი თანხმობა, კომპიუტერული მოწყობილობებისა და აქსესუარების (CPV კოდი: 30200000) სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს „სახელმწიფო

შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის“ (პროგრამული კოდი: 27 01 07) სახელმწიფო პროგრამით გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**